

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 7 8 5

ქ. ბათუმი, 09 ოქტომბერი 2015 წ

„ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 14 სექტემბრის №701 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. „ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 14 სექტემბრის №701 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების წერილობით დასაბუთებაში (საკონსტატაციო ნაწილში) ნაცვლად: „1) ქ. ბათუმი (მწვანე კონცხის ადმინისტრაციული ერთეული, ჩაქვი) ჭავჭავაძის ქ. №25-ის მიმდებარედ არსებული 493,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; 2) ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი ქ. №90-ში მდებარე 256,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;“-სა მიეთითოს: „1) ქ. ბათუმი, დასახლება ჩაქვში მდებარე 490,00 კვ.მ. ფართობის ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა კვარტალური გზა (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი); 2) ქ. ბათუმი, დასახლება ანგისა, აეროპორტის გზატკეცილის №90-ში მდებარე 269,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;“

ბ) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ქ. ბათუმი, დასახლება ჩაქვში მდებარე 490,00 კვ.მ. ფართობის ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა კვარტალური გზა (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი);

ბ) ქ. ბათუმი, დასახლება ანგისა, აეროპორტის გზატკეცილის №90-ში მდებარე 269,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.“

2. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

**3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

**4.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი